



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 27  
 03/04/2017

27-07-4-201704031139



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №27  
 2017 წლის 31 მარტი  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, კოსტავას ქუჩა N 37-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 27.06.52.114) - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის მე-3 სართულის, მარჯვენა ფლიელში მდებარე ორი ოთახი - 33.96 კვ.მ. ფართით) ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო